საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გაღმამხარი

გაღმამხარი, 1. ისტორიული მხარე ქართლში. სახელწოდება გვხვდება გვიანდ. ფეოდ. ხანის საბუთებში. ზოგი მკვლევრის აზრით, გ. ეწოდებოდა მტკვრის მარჯვ. ნაპირას ტაშისკარიდან მცხეთამდე, ზოგის აზრით კი – გვიანდ. ფეოდ. ხანის სათავადოს – საციციანოს. ქართლის მოსახლეობა დღეს გ-ს უწოდებს ისტ. საციციანოს ტერიტორიას. 2. ისტორიული მხარე კახეთში. მოიცავდა ძვ. ჰერეთის ტერიტ. ნაწილს, რ-იც მოქცეული იყო მდ. ალაზანსა და კავკასიონის ქედს შორის. ეს ტერიტ. შიგნიკახეთის მიმართ გაღმა მხარე იყო. ეკონომიკურად იგი კახეთის ერთ-ერთ ყველაზე დაწინაურებულ კუთხეს წარმოადგენდა. განსაკუთრებით განვითარებული იყო მევენახეობა და მეაბრეშუმეობა. გ-ის დაწინაურებაში დიდი როლი ითამაშა მისმა სიახლოვემ გილან-შემახის სავაჭრო გზასთან. ეკონ. განვითარებამ განაპირობა XVI ს-ში კახეთის სამეფოს *პოლიტ.* ცენტრის გადანაცვლება გ-ში (გრემში). XVII–XVIII სს-ში გ-ის ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენა ირანის შაჰის აბას I-ის ლაშქრობებმა და დაღ. ფეოდალთა თავდასხმებმა. ეს მხარე დიდხანს გაუკაცრიელებული და აოხრებული იყო. თანამედროვე ადმ.-ტერ. დაყოფით გ. მოიცავს ლაგოდეხის, ყვარლისა და ნაწილობრივ თელავის რ-ნების ტერიტორიას.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 1–3, თბ., 1964–66; გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., თ ო დ რ ი ა თ., გვიანფეოდალური ხანის კახეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1971, ტ. 4; გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.

თ. ტატიშვილი

ჯ. გვასალია